# ახალი სხივი

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

კ ვ ი რ ა, 21 მარტი 1910 წ. **№ 39**

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

---

კვირას, 21 მარტს, წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

### ელისაბედ მიხეილის ასული რცხილაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უზომოთ დამწუხრებულნი: განსვენებულის მეუღლე იროდიონ სტეფანესძე რცხილაძე და შვილები: ვასილი, ივანე, თამარა, სტეფანე, ნიკოლოზ, ელენე, ნინა, ირაკლი და ვახტანგი. 3—3

---

## ქართული თეატრი

**შაბათს, 27 მარტს,**

## გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულათ საჯარო ლექციას ამ თემაზე

## რელიგია მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი ს ა

**(შესახებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)**

**—● პროგრამა ლექციისა ●—**

შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა.—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე“ (სიყვარული და სიკვდილი).—რომანი „დორიან გრეი“ (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა).—სულიერი დრამა უაილდისა. (თხულება «De profundis») .—მნიშვნელობა უაილდისა.

**ბილეთები იყიდება თეატრის კასაში — დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

---

ნდობაზე დაფუძნებული ამხანაგობა

## „იუჟანე“

ამით აუწყებს ყველა კერძო პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც საქმე აქვთ ამხანაგობასთან, რომ **სოფრომ ნიკოლოზისძე სხირტლაძე**, რომელიც ამხანაგობის ხელშეკრულებით (მე-4 მუხ. 1908 წ. 24 აპრილს ხელშეკრულობისა) ითვლებოდა ერთ ერთ პასუხისმგებელ ამხანაგად, 12 **მარტს ამა 1910 წლისა გამოვიდა თავისი სურვილით ამხანაგობიდან** თანახმად ხელშეკრულობის მე-16 მუხლისა და ხსენებული რიცხვიდან არავითარი კავშირი არა აქვს ამხანაგობის «იუჟანე»-ს საქმეებთან. 1—1

---

ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

## „სოტირი ადის“ (ბაღდადის) გრეშუმ ს თესლის

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათია მეტი ღირდეს, სამაგიეროთ, ყოვლად საიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარგარეთ ყველაზედ საუკეთესოთ უცნიათ და ოფიცსალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. **რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ, უნდა მიმართოთ პირდაპირ ფაბრიკის სკლადში, ბათუმში მარიინსკი პროსპექტზე № 19 სახლში, (საურთიერთო ბანკის ქვეშ).** (12—8)

---

6 აპრილს 1910 წელს დღის 12 საათზე

## თფილისის ქალაქის სამმართველო

ნიშნავს იჯარით ვაჭრობას ნავთის და მაზუტის მიწოდების შესახებ ქალაქის სხვა და სხვა დაწესებულებებისათვის. მაზუთი საჭიროა 60 ათასი ფუთი, ხოლო ნავთი 22 ათასი ფუთი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს განცხადება, დახურული კონვერტით ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში და შემოიტანოს კასაში ბეჯ 500 მანეთი. კონდიციების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში დილის 10 საათიდან 2 საათამდე კვირა-უქმე დღეებს გარდა. 3—2

---

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

## ფეიქრები

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლებიდან გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

**წიგნი ღირს 50 კაპ**

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონის“ გამგე ვ. გ დილიასთან. პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი. **Тифлисъ, КирОчная ул. № 9 Василію Гадилія.** 0--10

---

## მკერვალი ქალი

ვღებულობ შესაკერათ ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა

**დაკლებულ ფასებში.**

ადრესი: Казбекская № 10· 0—9

---

## თფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე მ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**მედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**მურკოს გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. მ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი მ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი მ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

**სობოლევსკი მ. მ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—97)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

---

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. მ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—97)

---



მოითხოვეთ შეუდარებელი **ტუალეტის საპონი** დ. ნ. ნეოფიტასი სევასტოპოლში

## „კილ“

**მწვანე სახვევში.** ნამდვილი საპონი **„კილ“**-ი რადგანაც მასში არის მეტი წილი **კილის** ნივთიერებისა, შესანიშნავია თავის გამარბილებელი თვისებებით. საპონი „კილ“-ი ასუფთავებს ქერტლისაგან და სიმსუქნისაგან, არბილებს თმას აბრეშუმისთვით. საპონი **„კილ“**-ი, თავის ნეიტრალური ღირსებით შესანიშნავია განსაკუთრებით ბავშვების საბანაოთ. საპონი **„კილ“**-ი აგრეთვე შეუდარებელია ზღვაში საბანაოთ. მოითხოვეთ ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

**მთავარი დეპო:**

**კავკასიის ამხანაგობა სააფთიაქო საქონლით სავაჭროებისა ქ. თფილისში.**

---

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დზებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის **ხელმისაწვდენ ფასათ.** მოსწავლე ბავშვებს **დაკლებულ ფასებში.**

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა **№ 34.**

---

**კბილის ექიმი**

## ს, ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15

---

**სახალხო უნივერსიტეტი**

**სახალხო სახლში**

კვირას, 21 მარტს შესდგება ორი ლექცია.

I

**ნ. ე. ერმოლაევი** წაიკითხავს მე-2 პოპულიარულ ლექციას:

**პოლიტიკურ ეკონომიაზე.**

II

**ი. ბაევი** წაიკითხავს გენრიხ იბსენის

## ბ რ ა ნ დ ზ ე

პირველი ლექცია დაიწყება დილის 11 საათზე, მეორე—12 ნახ. საათზე.

შესასვლელი ფასი თითო ლექციაზე 5—10 კ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

---

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის**

## „ცინკოგრაფია“

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

**ადრესი:** თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—17)


---

## თფილისი, 21 მარტი.

სახ. დუმის ახალმა თავმჯდომარემ გუჩკოვმა თავის თავს უწოდა კონსტიტუციონურ მონარქიულ წესწყობილების მომხრე. თვითონ გუჩკოვი რომელ წესწყობილების ადეპტია, ჩვენთვის ეს დიდ ინტერესს არ წარმოადგენს. ამ განცხადებაში საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ დუმის უმრავლესობისაგან არჩეული თავმჯდომარე დუმის კათედრიდან რუსეთის და ევროპის გასაგონათ ლაპარაკობს ასეთ რამეს. ეს გარემოება თვით ავალებს როგორც თავმჯდომარეს, აგრეთვე დუმის უმრავლესობას, რომელმაც აირჩია გუჩკოვი, აღნიშნული წეს-წყობილების დამკვიდრების საქმეს უცვლელათ ემსახურონ. აქ იმის განხილვას არ შევუდგებით, თუ ჩვენი მისწრაფება სახელმწიფო წეს-წყობილების შესახებ რამდენათ განსხვავებულია კონსტიტუციონურ მონარქიისაგან, ჩვენ ამ ჟამათ გვინდა სულ სხვა რამეს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ქაღალდზე გუჩკოვის მიერ აღიარებულმა პრინციპმა პირველათ იჩინა თავი 17 ოქტომბერს 1905 წ., როცა გამოიცა მანიფესტი განუსაზღვრელი თვითმპყრობელობის შეზღუდვის შესახებ. იქიდან მოკიდებული დღემდის ეს პრინციპი რუსეთის ცხოვრებას ძრიან-ფესვიანათ არ შეხებია; სანამ განმათავისუფლებელი მოძრაობა არ შეწყდა, ის ხორციელდებოდა ბიუროკრატიის სურვილის წინააღმდეგ; როცა ბიუროკრატიამ შესძლო განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაქრობა, აღიარებული პრინციპი ქაღალდზეც კინაღამ სულ წაიშალა, ცხოვრებაში კი მისი ადგილი განსაკუთრებულმა წესებმა დაიჭირა, რომლებიც სცნობენ ტოლმაჩევ-დუმბაძეებს, „უსმოტრენიებს“ და არ სცნობენ არავითარ უფლებრივ ნორმებს. განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ყველა პარტიებზე მეტ სიძლიერეს იჩენდა მუშათა პარტია, რომელიც სული და გული იყო თვით მოძრაობის. რაღა გასაკვირელია, რომ მას სხვაზე მეტი ყურადღება მიექცია საკუთარ ორგანიზაციების დაარსებისათვისაც! 1905 წელში და —06-შიც ბიუროკრატია ითმენს მუშათა პოლიტიკურ პარტიის არსებობას, ითმენს მის პუბლიცისტიკას, ლიტერატურას; სრულიად არ უშლის ხელს 4 მარტის კანონით სარგებლობას და მუშებიც აარსებენ პროფესიონალურ კავშირებს შეუდარებელი გატაცებით. ეს პროცესი გაგრძელდა სანამ ბიუროკრატიამ არ მოიმაგრა ფეხი, სანამ მან არ შექმნა სამი ივნისის კანონის ძალით 3 ივნისის დუმა, იგივე მესამე დუმა. უკანასკნელმა თავისი მორალური დახმარებით ბიუროკრატიას საშუალება მისცა საზოგადოთ განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმოსაფხვრელათ და კერძოთ, მუშათა მოძრაობის, როგორც პოლიტიკურის, ისე არა პოლიტიკურის გასანადგურებლათ. მუშათა მოძრაობის განადგურების საქმეში პოლიციური პირობების გარდა დიდი როლი ითამაშეს ორმა გარემოებამ: სავაჭრო-სამრეწველო კრიზისმა და თვით მუშათა შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ. ყველა ეს პირობები, ერთათ აღებული დღემდის არსებობენ და ხელს უშლიან. მუშათა ორგანიზაციების ყველა ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ ბრძოლა თანაბრათ ნაყოფიერი როდი იქნება: მუშათა კლასს არ შეუძლია მოსპოს სავაჭრო-სამრეწველო კრიზისები ძლიერაც რომ მოინდომოს, ეს აღემატება მის ძალებს.

სხვა ხასიათის არის პოლიტიკურ დაბრკოლებათა მოსპობა, მით უფრო, რომ ეს დაბრკოლებანი არსებობენ, თუმცა მეტათ მუშათა კლასისთვის, მაგრამ ისინი ეღობებიან წინ საერთოთ სხვა კლასებსაც, ნამეტურ ბურჟუაზიას, რომელიც დაინტერესებულია კონსტიტუციონური წეს-წყობილების დამყარებაში. ეს გარემოება მუშათა კლასმა უნდა გამოიყენოს თავისი ძალების ნაყოფიერათ დასახარჯავათ, მან უნდა თავისი ტაქტიკა მოაწყოს ისეთ ნაირათ, რომ სრულიად განმარტოვებული არ დარჩეს საჭირო შემთხვევებში და პირობებში.

მუშათა კლასის ძალების კონცენტრაციას ძლიერ დიდ დაბრკოლებათ უდგია წინ თვით მუშათა კლასის მოწინავე ნაწილში არსებული უთანხმოება, რომლის დასაწყისი ძლიერ შორს არის. მისი გამომწვევი მიზეზები დღეს-დღეობით, შეიძლება ითქვას გაქრნენ, საზოგადოთ შეიცვალა მთელი კონიუნქტურა და ეს ძლიერ უწყობს ხელს უთანხმოების მოსპობას. ამისათვის საჭიროა გათვალისწინება წარსულის, ნათლათ წარმოდგენა დღევანდელი წუთის და ამის შემდეგ ადვილათ გამოჩნდება ის საერთო ხაზი, რომლის გამართვაც საშუალებას მისცემს მუშათა კლასს ერთი მტკიცე ორგანიზაციის შესაქმნელათ.

---

## კიდევ ნაციონალური კითხვის გამო.

### II

წინა წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ კაპიტალისტური კულტურის აყვავებამ საერთაშორისო პროლეტარიატს სხვა მრავალ მწვავე სოციალურ პრობლემასთან ერთათ ნაციონალური საკითხიც წამოუყენა, რომელიც მუშათა კლასისაგან დროს შესაფერ პასუხის გაცემას თხოულობს მეტქი. თანამედროვე წარმოების წესის მიერ გამოწვეულმა უკუღმართმა პირობებმა შექმნეს თვითეულ სახელმწიფოში სხვა და სხვა ერებისთვის მეტათ უვარგისი და აუტანელი სოციალურ-პოლიტიკური გარემოებები, უხეირო სახელმწიფოებრივი სისტემა. ბურჟუაზია, რომელიც მატარებელია მთელ ამ უვარგის სისტემისა, ვერ ასრულებს თავის ისტორიულ მისიას, მას არ შეუძლიან გამწვავებულ ეროვნულ შუღლ-უთანხმოების მოსპობა, მისი სამართლიანათ მოწეს-რიგება. პირიქით, სხვა და სხვა ეროვნების ბურჟუაზიული პარტიები ერთი-მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვის, ერთი-მეორეს დაუნდობლათ ექიშპება. მუშათა კლასს, რასაკვირველია, არ შეუძლია მთელ ამ ნაციონალურ ბრძოლას, ნაციონალურ ომს გულ-ხელ დაკრეფილი უყუროს, ვინაიდან ბურჟუაზიულ ნაციონალურ შეტაკებაში ყველაზე მეტათ პროლეტარიატი ზარალდება, მისი ინტერესი ილახება; მუშათა კლასის კისერზე იქცევა მთელი ნაციონალური უთანხმოება. განსაკუთრებით მარტო თვით იხდისმთელი ნაციონალური ბრძოლის ნივთიერ ხარჯებს, ის იტანჯება—ისრისება და ის ღვრის სისხლს, რადგან მხოლოდ ის გამოდის ყოველ პოლიტიკურ შეტაკების დროს აქტიური მეომარი, აქტიური მებრძოლი. ეს გარემოება, ეს სოციალური მოვლენა აშკარათ იმის მღაღადებელ მაჩვენებელია, რომ მუშათა კლასი დაინტერესებული უნდა იყოს ნაციონალური საკითხით, ეროვნული პრობლემით და აუცილებლათ ცდილობდეს მის პროლეტარულ კლასების სასარგებლოთ გადაჭრას. ნაციონალური ანტაგონიზმი მას ხელს უშლის აქტიური გავლენა იქონიოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე და თავის სასარგებლოთ მოაწყოს. ასე რომ, მუშათა კლასი ცდილობს ნაციონალური საკითხის გადაჭრას არსებულ ბურჟუაზიულ წეს-წყობილების გასამაგრებლათ კი არა, არამედ—პროლეტარიატის გასაძლიერებლათ და მით მთელი ქვეყნის ასაყვავებლათ.

პროლეტარიატის უპირველეს და უძლიერეს მიდრეკილება-მისწრაფებას, რასაკვირველია, რევოლიუციონური ინსტიქტი (ალღო) შეადგენს. თვით ნაციონალურ კითხვასთან მისი დამოკიდებულებაც აუცილებლათ რევოლიუციონურია. თანამედროვე მუშათა კლასი სასტიკი მოწინააღმდეგეა იქ, სადაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჩაგრავენ და ავიწროებენ სხვა და სხვა ერებს, ზღუდავენ მათ საზოგადოებრივ უფლებას, ძალმომრეობით უსპობენ ისტორიულ არსებობას; იქ, ასეთ უვარგის საზოგადოებრ. პირობებში პროლეტარიატი მოავ/

ერთათ ერთი კლასია, რომელიც იბრძვის მის დასანგრევათ, ამაში გამოიხატება, თუ შეიძლება ითქვას, მისი ნაციონალური პოლიტიკის მიზანი. რუსეთში მხოლოდ მუშათა პარტიაა, რომელიც გვერდში უდგა ყველა დაჩაგრულერებს და სპეტაკათ იცავს მათ ეროვნულ არსებობას; გერმანიაში პოლონელი და გერმანელი სოციალდემოკრატები ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იბრძვიან პრუსიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დღიდან პოლონელების დამორჩილებისა პოლონელების მოსპობის პოლიტიკას აწარმოებს; ავსტრო-უნგრეთში, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, ყველგან სოციალ-დემოკრატიული პარტიებია, რომლებიც სიმართლით იცავენ წვრილი ერების ნაციონალურ ინტერესებს. სწორეთ, როგორც ზევით ვთქვით, პროლეტარიატის ნივთიერი და პოლიტიკური ინტერესი ძლიერი სტიმულია ნაციონალური პრობლემის დღევანდელ პირობებში დემოკრატიულ გადაწყვეტისათვის; ნაციონალური კითხვის ასე თუ ისე გადაჭრა მხოლოდ დემოკრატიულ ფორმაშია მოსახერხებელი. რომ შევასუსტოთ ნაციონალური ანტაგონიზმი (წინააღმდეგობა), მოვაშოროთ თანამედროვე ეროვნულ უთანხმოებას ვარემიზეზები, უწინარეს ყოვლის საჭიროა თითოეული სახელმწიფოს ერს მიეცეს ისეთი უფლებები, საცა იგი თავისუფლათ განვითარდებოდეს, მიენიჭებოდეს ასეთი თვით-გამორკვევის ფორმები. ეს რეფორმა კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მართვა-გამგეობის დემოკრატიულ ფორმებში, როცა ეს რეფორმა აღმოცენებული და დამყარებულია სრულ დემოკრატიულ პრინციპებზე, დემოკრატიულ თვით-გამორკვევის დებულებებზე.

თანამედროვე შევიწროებულ და დაჩაგრულ ერების კითხვა უმთავრესათ და უპირველესათ **კულტურული საკითხია, კულტურული პრობლემაა** და არა ბატონობისა, როგორც ეს ნაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიებს გონიათ. თითოეული პატარა და უფლება დაკარგული ერი დღევანდელ პირობებში უნდა ცდილობდეს მოიპოვოს ეგრეთ წოდებული **თვით-გამორკვევის** ფორმები, საცა იგი ნამდვილათ და თავისუფლათ შესძლებდა კულტურულათ განვითარებას; კულტურულათ აღორძინებას. ჩვენც მთელ ნაციონალურ საკითხს სწორედ ამ მხრივ შევეხებით და ვეცდებით შეძლების დაგვარათ გავარკვიოთ.

მართალია, თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაში ეროვნებას ერთობ სხვა და სხვა განმარტებას, სხვა და სხვა დეფინიციას აძლევენ, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის სოციალდემოკრატების ცნობილ ხელმძღვანელების ნაციის განმარტება სწორი და სამართლიანია. კარლ კაუცკი, ოტო ბაუერი, კარლ რენერი, ვაისანერი, ლუდო ჰარტმანი, იოსეფ ზელიგერი, ალფრედ მაისნერი და სხვა ცნობილი პარტიული თეორეტიკოსები ყველა თითქმის ერთგვარათ აღნიშნავენ, რომ ეროვნება ეს უმთავრესათ **ენის და კულტურულ საზოგადოებრივობის** სოციალური სხეულია. იგი, როგორც ასეთი, ისტორიულათ წარმოიშვა და განვითარდა. ამა თუ იმა ერის ენის და კულტურულ-საზოგადოებრივ ისტორიული არსებობა ხნიერია, ვიდრე თანამედროვე სახელმწიფო; იგი ისტორიულ-ბუნებრივი საზოგადოებრივი ძალაა და არა უფლებრივი, იურიდიული. კავშირი, ანუ შემოერთებული ძალა, რომელიც მილიონობით ხალხს ერთმანეთთან აერთებს, ამ ხალხით შიგნიდან წარმოშობილი ძალაა, იგი არ არის გარედან შეტანილი, გარეშე ძალიდან თავზე მოხვეული. ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო აკავშირებს თავის ქვეშევრდომ-მოქალაქეთ გარეგან უფლების ძალით, იძულებითი კანონების საშუალებით. შეგვიძლიან მოკლეთ და გასაგებათ განვმარტოთ: ერი ანუ ეროვნება ბუნებრივი მოვლენაა, ბუნებრივი ისტორიული ფაქტია, სახელმწიფო კი უფლებრივი. ჯერ სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი უფლება არ არსებობდა, რომ ეროვნება უკვე დიდი ხანი აწარმოებდა თავის ისტორიულ არსებობას; ეროვნება ლოღიკურათ და ფაქტიურათ ჩვეულებრივ არ ისპობა თუნდაც რომ მისი სახელმწიფოებრივი და უფლებრივი ფორმები დაინგრეს, მოისპოს, თუნდაც რომ შეიცვალოს. (გავიხსენოთ სხვა და სხვა ერების მსხვილ ერების მიერ დამორჩილება, კოლონიზაცია და სხვა.) მაშასადამე, ერის არსებობა ხელოვნური მოვლენა არ არის, იგი ბუნებრივ-საზოგადოებრივია, რომელზედაც შემდეგ წერილში ვილაპარაკებთ. Z

# სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

29 მარტი.

19 მარტის სხდომაზე დუმამ განიხილა ცხენების მოშენების და საინტენდანტოს უწყების ხარჯთ-აღრიცხვა. ცხენების მოშენების შესახებ ილაპარაკეს თავ. ურუსოვმა, ვოლკოვმა მეორემ, ბერეზოვსკიმ, შიუბინსკიმ და სხვებმა. ყველა ორატორებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ ცხენების მოშენების საქმე უწყებას ვერ აქვს კარგ ნიადაგზე დაყენებული. ის არავითარ ზომებს არ ღებულობს საქმის რიგიანათ მოსაწყობათ. მათ პასუხს აძლევს ცხენების მოშენების უწყების მთავარი გამგე. დასასრულ დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით. საინტენდანტოს უწყების ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ზვეგინცევი. ის აღნიშნავს რა ყველა ნაკლს საინტენდანტოს უწყებისას იმედს აცხადებს, რომ მთავრობა ეცდება მარტო სიტყვით არ მოახდინოს რეფორმა და საქმითაც განახორციელებს. ლაპარაკობს სამხედრო მინისტრის თანაშემწე. ის აღნიშნავს, რომ საინტენდანტოს უწყების ხარჯთ-აღრიცხვას ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ამიტომ თხოულობს აღადგინოს დუმამ კომისიის მიერ შემცირებული ზოგიერთი ხარჯები. საინტენდანტოს უწყების მთავარი გამგე ლაპარაკობს საინტენდანტოს დაწესებულების რეფორმის შესახებ. მისი აზრით საჭიროა შესდგეს ინტენდანტთა საგანგებო კორპუსი, დაწესდეს მოსამსახურეთათვის განათლების ცენზი და მოემატოთ ჯამაგირები. ბობრინსკის ვერ გაუგია რათ დასჭირდათ სენატორები საინტენდანტოს დაწესებულებების რევიზიისათვის, როცა თვით საკუთარ გენერლებს უნდა სცოდნოდათ ის უწესოება, რაც იქ ხდებოდა. მისი აზრით საჭიროა კონტროლი. ერთათ ერთი კონტროლი იქნება მტრის ზარბაზნების ქუხილი. მას სურს, რომ ამ კონტროლს საინდენტანტო შეხვდეს მომზადებული. შემდეგ ლაპარაკობენ საზოგადოთ სამხედრო უწყების შესახებ. ლიახნიცკის აზრით სამხედრო უწყების საქმე იმიტომ მიდის ცუდათ, რომ მთავრობა ცდილობს ჯარი ხალხს დააშოროს. სამხედრო ძლიერება მაშინ გაშლის ფრთას, როცა ჯარი ხალხს შეუდუღდება. პოლეტაევი აღნიშნავს, რომ ჯარებისთვის გადადებული ფულების უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურ აფიცრებზე იხარჯება. მარკოვი პროტესტს აცხადებს ლიახნიცკის სიტყვაზე, რომლითაც ის, მისი აზრით, რევოლიუციისა და ბუნტისაკენ მოუწოდებს.

ბელოუსოვი აღნიშნავს, რომ ცენტრალურ უწყებას გულწრფელათ არ სურს გამოიკვლიოს საინდენდანტოს ადგილობრივ ორგანოების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება. ხალხის მისას არ შეუძლია ენდოს არქიტექტორებს, რომლებსაც უნდათ უწყების გადაკეთება, რადგან თვით ისინი ფანტავდენ ხალხის ფულებს. ჟურნალ-გაზეთები, რომლებმაც ეს მტაცებლობა გამოამჟღავნეს, სასტიკათ და საჯეს. მხოლოდ დემოკრატიულ ნაწილს შეუძლია ხალხის სწორ გზაზე დაყენება (მარცხნით ტაშისცემა). სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 20 მარტს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მარტი.

## სპარსეთი

**თეირანი.** მეჯლისი შეუდგა პროექტის განხილვას. გადასცეს სპარსეთის ქვეშევრდომს მეშედეხერედან ბარფრუშამდე რკინის გზის გაყვანის კონცესია.

მეჯლისმა სეპეხდარს და სერდარასადს უკმაყოფილება გამოუცხადა, რომ ჯერაც ვერ შეასრულეს მეჯლისის გადაწყვეტილება და ფიდაებს იარაღი არ აჰყარეს.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** დიბროს ეფისკოპოზათ დაინიშნა არქიმანდრიტი ვარონაო, სერბიელი. სინოდის ამ გადაწყვეტილებას სერბიელები სიამოვნებით შეხვდენ.

## საზღვარ გარეთ

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. კომაროვსკის სიკვდილის შესახებ ექიმი კონონი ამბობს, რომ სანამ მას კუჭს გამოურეცხავდენ კარგათ გრძნობდა თავს, ხოლო შემდეგ ცუდათ გახდა. ის წინააღმდეგი იყო კუჭის გამორეცხის, მაგრამ რას იზამდა, როცა უფროსმა ექიმმა უბრძანა. ნაფიცი ვექილი მანკოვსკი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში პრილუკოვის თანაშემწეთ იყო, აცხადებს, პრილუკოვი მთელი დღის განმავლობაში მუშაობდა. წლიურათ იღებდა 25,000 მანათს, ძლიერ უყვარდა ცოლ-შვილი. როცა ტარნოვსკაიას დაუახლოვდა ის სრულიად შეიცვალა და არა ნორმალური ცხოვრება დაიწყო. ტარნოვსკაია მას არ შორდებოდა და უკრძალავდა ცოლ-შვილის ნახვას. ხშირათ ისეთ რამეს ადენინებდა, რაც სასაცილოთ ხდიდა მას. ერთხელ მაგალითათ ტარნოვსკაიას თხოვნით ის ლოჟიდან სცენაზე გადახტა თეატრში. ამ ლაპარაკის დროს ტარნოვსკაია ძლივს იმაგრებს სიცილს მანკოვსკი ამბობს, რომ პრილუკოვს, რომ ცდომოდა, უფრო მეტ ფულებს მოიტაცებდა, რომ მან თავის მოწამვლა გადასწყვიტა ნაფიც ვექილ ლევენშტეინს, რომ თავს იკლავს ტარნოვსკაიას გულისთვის, რადგან ეშინია იმ გზას არ დაადგეს, რომელიც მას არაფრის გულისთვის არ უნდა. პერიე ისე იქცეოდა, როგორც მას ტარნოვსკაია უბრძანებდა, პრილუკოვმა მას უთხრა, რომ ტარნოვსკაიამ ის წაიყვანა მოსკოვში ეკლესიაში და დააფიცა, რომ თავის დღეში არ დასტოვებდა მას. მოწმე აძლევს სასამართლოს 28 წერილს ტარნოვსკაიას მიერ პრილუკოვისადმი მიწერილს, რომლებიც მან იპოვნა პრილუკოვის კაბინეთში. ტარნოვსკაია უარს ამბობს ამ წერილებზე.

**ლონდონი.** სახელმწიფოს შემოსავალი უდრის 19,881,839 გირვანქას ნაკლებს 1909 წლისაზე.

**პარიჟი.** პალატამ 560 ხმით, წინააღმდეგ 4 ხმისა მიიღო კანონ-პროექტი მოხუცებულობის დროს უზრუნველ-ყოფის შესახებ.

**ინდიანოპოლისი.** გაიფიცა ქვა-ნახშირის მადაროს 20,000 მუშა.

## რუსეთი

**ჰელსინგფორსი.** პრეზიდიუმის წინადადებით სენატმა გადასდო შემდეგ სხდომისთვის სეიმში შემოტანილ კანონ-პროექტის განხილვა საზოგადოებრივ სახელმწიფო კანონების გამოცემის წესრიგის შესახებ

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოთ დასტოვა მწერალ პეშეხონოვის საკასაციო საჩივარი. მას ერთი წლის ციხე ქონდა გადაწყვეტილი.

— შეერთებულ თავად-აზნაურთა სიეზდმა ფონჩულიძევის მოხსენებით მიიღო მარკოვის მიერ წამოყენებული და პურიშკევიჩის მიერ შევსებული რეზოლიუცია: ვსცნობთ რა აუცილებელ საჭიროებათ ბოლო მოეღოს ებრაელთა გაძლიერებას და რუსეთის ხალხის სახელმწიფო ეკონომიურ და სულიერ ცხოვრებაზე გავლენას, სიეზდი ადგენს აცნობოს მთავრობას, რომ საჭიროა მტკიცეთ დაცულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელთა მიღების პროცენტის ნორმა.

# პატარა საუბარი

X.

ჩვენს პერიოდულ პრესაში არა ერთხელ აღძრულა სჯა-ბაასი სამშობლოს გადაღმა მყოფ ქართველ **მოსწავლე** ახალგაზდობაზე. ძალიან ბევრიც უკამათნიათ ამ საგანზე და, რასაკვირველია, როგორც ყველა ჩვენს საზოგადო საქმიანობაში, აქედან ერთი ღერი სარგებლობაც კი არ გამოსულა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კამათი ისევ და ისევ არ განახლდება ხვალ, ზეგ და იმის ზეგ, ალბათ ისეთივე „კარგი“ შედეგებით! უეჭველია, საქმის ეს მდგომარეობა გვიმხელს და ხაზს უსვამს ორ დებულებას: არის სერიოზული საკითხი, რომელიც თხოულობს გადაჭრას, ეს ერთი; და მეორეთ, ვართ ჩვენცა, რომელთაც გვაკლია ფხა და უნარი ამისთვის.

მკითხველი არ მოელის ჩემგან, თავის თავათ იგულისხმება, საკითხის საფუძლიანათ გარკვევა-გადაჭრას. და პატარა საუბარი არც კი კისრულობს თავის ერთ სვეტზე ასეთ საკადნიერო რამეს; მხოლოდ **ყენებს** ამა თუ იმ კითხვას და შემდეგ მიუთითებს მის ზოგად მხარეზე.

პატარა არაა ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობის რიცხვი გადაღმა. მისი ერთი და უდიდესი ნაწილი დაგროვილია რუსეთში, მეორე უმცირესი, მაგრამ მაინც თვალსაჩინო ნაწილ კი—დასავლეთ ევროპაში. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ამოტელი, განათლების კერაზე მიმჯდარი ხალხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი ერის წინმსვლელობისათვის. კიდევ უფრო მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ ახალგაზდობის უპირველესი და უდიდესი დანიშნულება არის და დარჩება, პოლიტიკურათ **ნორმალურ** ხანაში მაინც, სწავლა-თვითგანვითარება.

მე არ ვიზიარებ იმ აზრს, თითქო ჩვენი ახალგაზდობა რუსეთში თუ მის გარეთ სისტემატიურათ გაურბოდეს ხსენებულ დანიშნულებას; არც იმას ვიტყვი, თითქო ის ერთიდან დაწყებული ბოლომდე პირნათლათ ასრულებდეს მას. არიან მათ შორის, როგორც ყველა ერთა ახალგაზდებში, ასეთნიც და ისეთნიც, აქედან ერთი და იგივე საზომი არ გამოგვადგება აქ და იქ. თუ ოდესმე მარტო ერთი სიტყვა «სტუდენტი» თავის თავათ და უკომენტარიოთ გულისხმობდა საზოგადოების თვალში რაღაც არაჩვეულებრივ და აღმამაღლებელ შინაარსს, ახლა ეს ასე არ არის. თანაც ბევრია დღეს გადაღმა ისეთებიც, რომელნიც დიახაც გულმოდგინეთ მეცადინეობენ, მაგრამ ოფიციალურათ სტუდენტის სახელს არ ატარებენ.

სოციალური შემადგენლობა ჩვენი გადაღმელ ახალგაზდობისა ისეთივე ჭრელია, როგორიც თვით ჩვენი ერისა. ამიტომ მტკნარი და მავნე უტოპიაა იმის მტკიცება, თითქოს მას შეეძლოს მუდმივი მწყობრი და ერთსულოვანი მოქმედება გადაღმა თუ გადმოღმა. „ღვთით“ ჩვენ არც ისე ბეჩავნი ვართ, რომ არ გაგვეჩაღებია ადგილობრივ სხვადასხვა სოციალურ მდგომარეობის შესაფერი **სხვადასხვა** იდეოლოგიური ლტოლვილებაც. შინ დაბრუნებული განათლებული ახალგაზდაც ამის და მიხედვით აუცილებლათ ამა თუ იმ ლტოლვილების მორევში სცურავს...

მაგრამ ნათქვამიდან ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს მკითხველმა, თითქო მე სრულიად უარსა ვყოფდე ახალგაზდობის რამდენათმე შეთანხმებულ და კოლექტიურ საქმიანობას, **სანამ ის ჯერ კიდევ სწავლობს**, ზოგად და განსაკუთრებულ შემთხვევებში. სხვა რომ არ იყვეს, მარტო **საერთო** სათვისტომოთა არსებობა გარკვევით გვიჩურჩულებს იმას, რომ ახალგაზდათ დიახაც შეუძლიათ ხსენებული საქმიანობა ერთ შემოხაზულ ფარგლებში: ნივთიერი დახმარება, რეფერატები, წიგნთსაცავი, საღამოები და სხ., მაგრამ ყველა ეს ეხება **პირადათ მათ**, მაშ, რაღა უნდა ითქვას მათ თანამემამულეებზე შინ, ანუ **ხალხზე**?

ამ მხრივ დიდი ილიუზიები არ გვმართებს, მაგრამ მთლათ არარაობაზე შეჩერებაც უკიდურესობა იქნებოდა. მოსწავლე ახალგაზდობას უეჭველათ შეეძლო ცოტა რამ გაეკეთებია ხალხისთვის, და ისიც, მხოლოდ და მარტო **კულტურულ** ნიადაგზე. მოვიყვან მარტო ერთ მაგალითს. ჩვენ დღესაც არ მოგვეპოვება მრავლისაგან მრავალი სახელმძღვანელონი მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. ჭეშმარიტათ, ჩვენ კიდეც უნდა **ვწითლდებოდეთ** ამ უკულმართობით. მაშინ, როდესაც არსებობენ ევროპიულ ენებზე პირდაპირ დაუფასებელი და **სრულიად პოპულიარული** სახელმძღვანელონი **ყველა** დარგებში. რატომ არ შეეძლოთ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობის ცალ-ცე ჯგუფებს ეკისრნათ მათი ქართულათ გადმოთარგმნა? აქ ხომ უმეტეს შემთხვევაში სადაო და საპარტიო არაფერია სანამ პროგრესიულ ელემენტებზეა ჯერი მიმდგარი. ნუ თუ საკმაოა მათთვის მარტო პროექტების თხზვა და „სამშობლოს“ ძახილი? სტუდენტი, რომელსაც, მართალია, ეწვის ხალხზე გული, თუ სხვას არა, ამ მცირეს მაინც არ უნდა იშურებდეს მისთვის. მას კიდეც უნდა **რცხვენოდეს** სწავლის ისე დასრულება, თუ ერთი წიგნაკი მაინც არ უძღვნია მისი ერისთვის. სხვა მაგალითებიც ბევრია, მაგრამ ამ თავათ ესეც კმარა...

**წინწკალი.**

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ **ცეცხლი ზუგდიდში.** როგორც იქნა, ჩააქრეს ცეცხლი [illegible] ქალაქის საუკეთესო ნაწილი.

✦ **ყალბი ფული.** თფ. მაძებარ პოლიციას შეუტყვია, რომ თფილისში ვილაც ორი უცნობი, რომელნიც თავიანთ თავს უწოდებდენ,—„გიორგისა და კოსტას“, ყალბ 100 მანეთიანებს ამზადებდენ და ასაღებდენ. პოლიციის აგენტებს მინდობილი ქონდათ გაეგოთ ხსენებულ უცნობთა ვინაობა. ერთი მათგანი ყოფილა ქუთაისის გუბ. მცხოვრები აზნაური გ. მ. მეძმარიაშვილი—31 წ., ხოლო მეორე—ამავე გუბ. მცხოვრები კ. ს. ჩუბერია—35 წ. გ. მეძმარიაშვილი და კ. ჩუბერია ასაღებდენ ყალბ 100 მ. და 3 მ.; ამ ფულს, პოლიციის ცნობებით, ხსენებულნი პირნი სოფლელთა შორის ასაღებდენ ნავთლუღში, სასაკლაოზე. უკანასკნელათ თფილისში მათ ჩამოუტანიათ დიდ-ძალი ფული, ყალბი 100 მანეთებიანები, ეს ფული მათ უნდოდათ ხაზინაში დაეხურდავებიათ. 19 მარტს პოლიციამ გაჩხრიკა ხსენებულ პირთა ბინები ელისაბედის ქუჩაზე. პოლიციას კარები არ გაუღეს. მეძმარიაშვილმა ყალბი ფულები ფანჯრიდან გადმოისროლა. შეიპყრეს მეძმარიაშვილი და ჩუბარდიაც. გაჩხრეკის დროს მათ ბინაზე იპოვეს 700 ყალბი ას-ასი მანეთიანები—და ასეთივე 69—სამ-სამი მანეთიანები. შეპყრობილნი უარს ამბობენ იმის შესახებ, თუ სად მზადდებოდა ეს ყალბი ფული. შეპყრობილნი ციხეში გაგზავნეს.

✦ **დახმარება დიდუბის ბიბლიოთეკას.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს ქალაქის კასიდან 100 მანეთი დახმარება დიდუბის ბიბლიოთეკას.

✦ **ჯილდო.** ქალაქის ლომბარდის გამგემ ასლამაზოვმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა ლომბარდის მოსამსახურეთათვის ჩვეულებრივი ჯილდო მიეცა ქალაქს. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მიეცეს მოსამსახურეთ ჯილდოთ—ერთი თვის ჯამაგირი.

✦ **შუამდგომლობა საქართველოს ეგზარხოსის წინაშე.** ბათუმის ქალაქის თავის მოადგილე მ. დ. ჟურული და ორი ხმოსანი შუამდგომლობით წარდგენ საქართველოს ექსარხოსის წინაშე, რათა სინოდალური კანტორის თანხიდან 5,000 მ. დახმარება მიეცეს ბათუმის ქართველთა ეკლესიის შენობის ასაგებათ. შუამდგომლობა ექსარხოსს თანაგრძნობით მიუღია.

✦ **ქალაქის საბჭო.** ხვალ ქალაქის საბჭოში მოხდება არჩევნები შემფასებელი კომისიის მესამე წევრისა.

✦ **ხმოსანი. მ. საჯანცი.** ხმოსნობას თავს ანებებს. ამის შესახებ მან ქალაქის გამგეობაში განცხადება უკვე შეიტანა.

✦ **დეპუტაცია ბათუმიდან.** 19 მარტს ბათუმის ქალაქის თავის მოადგილე გ. დ. ჟურული და ქალაქის წარმომადგენელნიც კავკ. ნამესტნიკის თანაშემწეს შუამდგომლობით წარუდგენ, რათა ბათუმის ოლქის საოლქო სასამართლოს შენობა აგებულ იქნას ქალაქ ბათუმში, რისთვისაც ქალაქი მიწას უფასოთ შესწირავს, რომელიც ეღირება არა ნაკლებ 20,000 მ.

✦ **სომხ. გამომცემელ ამხანაგობის** წევრთა კრება დანიშნულია დღეს სომხ. საქველმოქმედო საზოგადოების შენობაში. მოხდება არჩევნები სარედაქციო კომისიისა და განიხილავენ 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

✦ **ეჭვით შეპყრობილნი** 19 მარტს, საღამოს 8 საათზე, პოლიციამ გაიგო, რომ თფილისის სასულიერო სემინარიაში ვილაც უცნობნი მისულან, რომელთაც ვითომც სემინარია უნდა გაეძარცვათ. პოლიციამ სემინარიის კარებში შეიპყრო ორი უცნობი, კავკავის მცხოვრებნი კ. ა. თულუზოვი და პენზის გუბ. მცხოვრები პ. დ. ლებედევი. მათ უპოვეს დანები და რევოლვერები. უცნობებმა განაცხადეს, რომ სემინარიაში სამსახურის სათხოვნელად მოვედითო. როგორც გამოირკვა, სემინარიის კასაში იმ დროს დიდ-ძალი ფული იყო.

✦ **პანაშვიდი.** დღეს, 21 მარტს დილის 11 საათზე მიხეილის საავათმყოფოს, ფერშლის სკოლის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ამავე სკოლის შეგირდის გიორგი ივანეს ძე სოხაძის სულის მოსახსენებლათ, რასაც

აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობთ განსვენებულის სკოლის ამხანაგები

**შავი ქვის მრეწველთა სიეზდი** მოხდება ქუთაისში 26 აპრილს. სიეზდი სხვათა შორის გაარჩევს საკითხს კავკასიის უმაღლესი სასწავლებლის დახმარების და ჭიათურაში საქალებო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ.

**ქალაქის უძრავი ქონება.** უკვე შეუდგენ ქალაქის უძრავ ქონებათა შეფასების მოსამზადებელ საქმეებს.

**სესხის პირობების დამტკიცება.** ფინანსთა მინისტრმა უკვე დაამტკიცა თფილისის მე-4, სამ-მილიონი სესხის პირობები.

**კადეტთა კორპუსის** ახალ შენობის ირგვლივ ქვის ყორეს შემოსავლებით სამხედრო მართველობამ 17,000 მ. გადასდო.

**ქალაქის გამგეობა** წინადადებას აძლევს „ვაკეს“ მცხოვრებლებს, რათა „ვაკეს“ ქუჩების მოსაკირწყლავ საჭირო ფულის ნახევარი—6,000 მ. შეიტანონ მათ ქალაქის კასაში. ქუჩების მოკირწყვლას ადრე დაიწყებენ.

**სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს სახალხო სახლში სახ. უნივერსიტეტის სასარგებლოთ ნ. ე. ერმოლაევი წაიკითხავს მე-2 პოპულიარულ ლექციას პოლიტიკურ ეკონომიაზე და ი. ბაევი—გენრიხ იბსენის „ბრანდზე“. პირველი ლექცია დაიწყება დილის 11 საათზე, მეორე—12 ნახ. საათზე. ფასი თითო ლექციაზე 5—10 კ.

**დიმიტრი მგელაძის გასამართლება.** 19 მარტს ქალაქ ქუთაისში ოლქის სამოსამართლომ ღია კარებში გაარჩია დიმიტრი მგელაძის საქმე, რომელსაც ბრალათ ედებოდა სამსახურის აღსრულების დროს მეურმე გიორგი ტუღუშის შეურაცყოფა და ხანჯლით მსუბუქათ მხარში დაჭრა. ეს მიხდა 25 დეკემბერს 1908 წელს. სასამართლომ დიმიტრი მგელაძე დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა სამი კვირის სატუსაღო და ორასი მან. ტუღუშის სასარგებლოთ. ამ ჟამათ მგელაძე სამსახურიდან დათხოვნილია. როგორც გადმოგვცეს, დ. მგელაძეს უნდა განაჩენის გასაჩივრება პალატაში. დიმიტრი მგელაძეს იცავდა მ. ქიქოძე. ტუღუშის მხრით გამოვიდა ივ. კაჩუხოვი. დაწვრილებით ნგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ.

**გაზ. „გოლოს კავკ.“-ს რედაქტორის საქმე.** 18 მარტს თფილისის საოლქო სასამართლოში უნდა გარჩეულიყო საქმე „გოლ. კავკ.“-ს რედაქტორის ვასილიევისა, რომელსაც პრესის საშუალებით ქალაქის ინჟენრის კ. ი. მარკაროვის შეურაცყოფა ბრალდებოდა. საქმის გარჩევამდე მოხდა მოწინაამდეგე მხარეთა შორის შერიგება. რედაქტორი ვასილიევი გაზეთის საშუალებით იხდის შემდეგ წერილობითი ბოდიშს: „გაზეთ «გოლოს კავკაზა»-ს რედაქცია დიდ ბოდიშს იხდის ინჟენერ მარკაროვისა და ყველა მასთან მოსამსახურეთა წინაშე, რადგან ყოველივე ის, რაც ჩვენ დავსტამბეთ „გ. კ.“-ს მე-894 ნომერში მათ წინააღმდეგ, სრულიად სიმართლეს მოკლებულია“.

**გვთხოვენ გამოვაცხადოთ** შემდეგი: ითარგმნება ქართულათ კ. კაუცკის „Античный міръ, іудейство и христіанство“.

**ლექცია ჭიათურაში.** დღეს, 21 მარტს, ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის მიწვევით კ. კანდელაკი წაიკითხავს ჭიათურაში ლექციას «კოოპერაციაზე».

—

**შეცდომის გასწორება:** ფელეტონში (კუზნეცოვის სიტყვა), პირველ სვეტში, თავიდან მესამე სტრიქონში შეცდომით დასტამბულია: მაგრამ სამი მილიონიც საკმარისი არ შეიქნა; უნდა იყოს: **ოცი მილიონიც საკმარისი არ შეიქნა.**—უკანასკნელ სვეტში, მეოცე სტრიქონში ბოლოდან: თავდიანია ავათმყოფებისა; უნდა იყოს: **სათფლიანი ავათმყოფებისა.**

# პირველი ქუხილი

(ლექსი პროზათ)

გაზაფხულია... თბილი, საამო სიო უბერავს, ეჩურჩულება ენძელას, ის და ტკბილათ, მაგრამ ძლიერ ჩუმათ ის მათ უამბობს უცხო რამ ზღაპრებს, კეკლუცის, ახალ გაზაფხულისას.

და მოხიბლულნი ამ ზღაპრებით მაღლა იწევენ, ბრჭყვიალა მზის, შავი მიწის ტრფობის ნაყოფნი, და არე-მარეს ულიმიან ისე წარმტაცათ, რომ თვალს ჰხიბლავენ, გულს ატოკვენ და სულს, მშფოთარეს, მოუსვენარსა, სასიამოვნო გრძნობით ავსებენ.

გამოიღვიძა, გაისწორა ფრთები ფუტკარმა და მხიარული გამოფრინდა თავის სკიდან. აგერ იხილა მომღიმარე მან ია ნაზი და, ვით სატრფოსა, ჩაეკონა, გადეხვია.

ფირუზი ცა, მოკამკამე, ლაჟვარდოვანი, მაღლით დასცქერის დედა-მიწას ახავერდებულს და მზის სხივებსა მოელვარეს, უხვად გაფანტულს, თავის სივრცეში სთამაშებს და აფერადებს...

—

შორეულ მდებს მაღალ მწვერვალს შემოხვევია სქელი ბურუსი. . თითქო არ სურს მას დაინახოს გაზაფხულისა მოსვლა, ზეიმი; თითქო შურს, ბოროტს, გამოფხიზლება ზამთრისა შემდეგ მთელი ბუნების და, როგორც ჩადრი მოუბურია, თავის გარშემო, ღრუბლები შავი.

სიჩუმეა... და აჰ, უეცრივ, ლოდივით მძიმე შავი ღრუბლები ელვამ გააპო და დაიკლაკნა და ყრუდ, ძლიერ ყრუდ, მაგრამ ძალუმად ჭექა-ქუხილმა დაიგრიალა.

ცოტა ხნის შემდეგ მეორე მხრიდან მას უპასუხა კლდისა ნაპრალმა და შორს, იქ სადღაც, დემონის მსგავსათ, რაღაცამ მწარეთ გადიხარხარა.

ეგ, ნალარაა გაზაფხულისა!..

გამარჯვებული დღესასწაულობს სიკვდილს ზამთრისას და ამ ქუხილით ამცნობს სამყაროს თავის სიხარულს, თავის მეფობას...

მაშვრალს მოესმა სანეტარო ქუხილგრიალი და დაღვრემილი, მომტირალი იმისი სახე ღიმით გაშუქდა, გამხიარულდა. იგრძნო, რომ აწი ვერ შეაწუხებს მის მშიერს ცოლ-შვილს ზამთრისა სუსხი, რადგან გაზაფხულს ტურფად შემკული თავის სამეფო დაუდგამს ტახტი.

და თვის ოცნება აათამაშა, შორს გააფრინა მომავლისაკენ. იქ, მან ბეჩავმა, თვალი მოჰკრა იმედს ბრწყინვალეს და გაექანა თავდავიწყებით ბრძოლის ველისკენ.

**ილ. რუხაძე.**

* * *

წინ მეგობარნო, თამამად, მედგრათ
დაე გაშალოს იმედმა ფრთები
ერთხმათ დავსძახოთ ჩვენი სიმღერა,
ძმურათ ურთ-ერთსა შევუწყოთ ხმები.
გზა ეკლიანი, განვლეთ ნახევრათ,
ბევრს, ბევრს წილად ხვდა ციხე, ბორკილი
ბევრიც შორს ჩაკვდა... აღარ გვესმენია
მათი უმწეო ამოძახილი.
და ეს ხომ ჩვენთვის გზა და ხიდია
მიზნის კიდეზე მიბიჯებული
მსხვერპლათ შეწირულ, საყვარელ გმირთა
გრძნობის სხივებით გაბრწყინვებული?
მაშ წინ უშიშრად! ვინც არი დიად
იდეალისთვის თავ-დადებული.

—

ზამთრის სუსხისგან ჰირ-გარდახდილი
ბუნება, ისევ ტურფად ირთვება
აგერ ყაყაჩო მინდორს აჰშვენებს,
იქ მზის სხივებზე ვარდი იშლება,
ამწვანებულა გაშლილი მდელო,
ტყე შეფოთლილა, ნაზათ შრიალებს
კვლავ სასიცოცხლო ჰფეთქს ძალთა-ძალი,
შვებას ჰგვრის მთა-ბარს განატიალებს.
შენ კი, შენ ჰეი! ედამიანი
ნუ დაგიხრია მონურად ქედი,
შენც გაზაფხული მოგივა მალე,
შენც გაგიღიმებს ნანატრი ბედი,
მაშ ძმავ გამხნევდი, წინ, წინ თამამად
გამარჯვებისა მქონდეს იმედი.

**ნ. ჩხიკვაძე.**

# პატარა ფელეტონი

**ღენერლების წვეულობა.**

ოდესის ღენერალმა იალტისას აცნობა:

— იალტაძე—ჯან! მობრძანდი გენაცვა, ერთი ჩემი «ჭეშმარიტ-რუსული» ოჯახობაც ნახეო...

იალტის ღენერალმა უპასუხა:

— ოდესოვ—ჯან! „ჭეშმარიტ-რუსულ სულში“ გენაცვალე—მაინც გესტუმრები, თუნდა კრამოლნიკებმა გზაზე 25 კოვზი ყუმბარა დამიყარონო...

აფრინეს ქვეყნის ყოველ კუთხეში დეპეშები: იალტაძე ოდესოვის სტუმრობას აპირებსო. შეიქნა ერთი მითქმა-მოთქმა, ორონ-ტრიალი: ძაღლების კნავილი, ღორების ყეფა, ქათმების ბღავილი, კატების წრუწუნი და თაგვების ჰიხვინი.

მთელი იალტა იძახდა:

მიდის! მიდის! მიდის! მიდის!

მთელი ოდესა-კი: —

მოდის! მოდის! მოდის მოდის! დადგა სანეტარო წუთიც. ღენერლები ერთათ შეიყარენ. უსაზღვრო ალტაცებით ღენერლებმა დრუნჩები ერთი მეორეს დააჯეხეს. „ჭეშმარიტ-რუსთა“ ლეგიონმა მომსვლელ დამხდური სამხედრო „სალიუტით“ გაასალამა. ოდესოვმა ძვირფას სტუმარს ყველა ღირს-შესანიშნავი ადგილები და დაწესებულებანი უჩვენა: „კავშირის“ სახაე, „კავშირის“ გიმნაზია, „კავშირის“ თოფ ხანა, „კავშირის“ საკრებულო, არაყის სარდაფები და სხვადასხვა... საღამოს სახლში დაბრუნდენ.

—როგორ მოგწონს, იალტაძე-ჯან, ჩემი სამფლობელო და მისი მსხვილ-ფეხწვრილ-ფეხ ქვეწარმავალნი?

— ოჰ, ოჰ, ოჰ!! ნუღარ მკითხავ, ნუღარ მკითხავ, ოდესოვ-ჯან, გენაცვალე. სწორეთ თვალის ჩინია, თვალის ჩინი...

— მერე, ყველაფერი რომ „ჭეშმარიტ-რუსულ“ ყაიდაზე მაქვს მოწყობილი?

— აპა, აპა, მაგ არ მაკვირვებს! ქალაქი «ჭეშმარიტ-რუსული», ქუჩები, სახლები, ცხოველები, ქვემძრომნი და ზემავალნი — სუყველაფერი „ჭეშმარიტ-რუსულია“.

— ე... ე... თქვენ კიდევ დაგავიწყდათ, ჩემი ბრძანებით შავი ზღვის თევზებიც „კავშირის“ ნიშანს ატარებენ... და განა მარტო თევზები? აი, გაიხედე, თუნდა ცაში ყვავები, ქორები, ძერები—ყველა „კავშირის“ წევრებათ მყავს ჩაწერილი...

შენ წარმოიდგინე, დაწყევლილი „ჟიდებიც“ კი „ჭეშმარიტ-რუსებათ“ მოვნათლე. ნუ თუ გაზეთები არ წაგიკითხავს? მე მათ რაბინს ვუბრძანე: თორას კარებზე მოსეს ათი მცნება ჩამოეხსნა და ზედ „ჯვრიანი გვირგვინი“ ჩამოეკიდებია, რაც დაუყოვნებლივ სისრულეში იქნა მოყვანილი...

— ოხ, რა საუცხოვოა, რა დიდებულია!.. ნეტა მეც შემეძლოს ოთხფეხების და ფრინველების „გაჭეშმარიტება“..... მაშინ იალტის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა... მაპატიეთ უადგილო კითხვისათვის: სულ რამდენი „კავშირის“ წევრი გეყოლებათ?

— მე სულ მეყოლება სამი მილიონი და ერთი „ასმუშკა“...

— მარტო ოდესაშია ამდენი?

— მარტო ოდესაში, აპა სულ მთელ რუსეთში კი 125 მილიონი „კავშირის“ წევრია...

— რა ბედნიერებაა!.. მთელი რუსეთი ჩვენი ყოფილა... (თავისთვის) მე კი იალტაში სამ კაც-ნახევარი „კავშირის“ წევრი ძლივს მომეპოვება. (ხმა-მაღლა) არ შეიძლება მეც მასწავლოთ, როგორ შეიძლება „კავშირის“ წევრების გამრავლება?

ოდესის გენერალს ჩაეცინა,—როგორ არა, მაგაზე ადვილი რაა!.. აი, შენ, მაგ. ამას წინათ ბრძანება გაეცი კორესპოდენტებიც კი გადაესახლებია პოლიციას იალტის საზღვრებიდან. მე კი შენს ადგილზე წინააღმდეგ მოვიქცეოდი. უმაღლეს მთავრობისაგან ნებართვას ვითხოვდი, რომ ყველა ციმბირში გადასახლებული და გადასასახლებელი იალტაში გამოეგზავნათ. მაშინ ქალაქიც გაიზრდებოდა და შესაძლებელი შეიქნებოდა ციმბირის სიცივეს გადარჩენილი ხალხი—ყველა „კავშირის“ წევრათ ჩამერიცხა. მერწმუნე, ყველა დასთანხმდებოდა ამ ბედნიერებაზე... შენ კი, როგორც გითხარი, მცხოვრებლებს პირიქით ასახლებ და შენობებს ზარბაზნებით უქცევ.

— ჰო, თუმცა ნაკლებ მკაცრათ არც შენ ეპყრობი მცხოვრებლებს, მაგრამ შენი რჩევა მაინც ჭკუაში მოსასვლელია... მხოლოდ საქმე ის არის, „ბომბისტები“ რომ უკანვე შემოიპარონ ქალაქში, ხომ დავიღუპე კაკალი კაცი!.. ერთს კიდევ გამიგორებენ—და მშვიდობით ჩემო წითელ სარჩულიანო პალტო!.. ვინ იცის შენს ნაფლეთ-ნაკვეცებს რომელ კუთხეზე გაანიავებს ქარი... ახ... ღმერთო ჩემო, რა მემართება... (იალტაძეს გული წაუვა. ოდესოვი ერთ ვედრა არაყს გადაავლებს თავს და ისევ გონს მოდის).

გამოთხოვებისას გენერლები გულ-ჩათუთქული დაშორდენ ერთმანეთს, თუმცა ოდესოვს გულმა არ მოუთმინა და წასვლის წინ იალტაძეს პალტოს ჯიბეები გაუშინჯა მალულათ, ხელს არაფერი გააყოლოსო...

—

მიქროდა გენერალი იალტაძე თავის საბრძანებელისაკენ და თან ფიქრობდა: რა ტუტუცია ეს ოდესის გენერალი!.. მას ეგონა, რომ მისი მილიონი „კავშირის“ წევრების ზღაპარი და სხვა ამგვარი ტრაბახი მე მჯეროდა... საცოდავი ოდესოვი!. საცოდავი გენერალი!..

ოდესის ღენერალი კი სავარძელში გადაჭიმულიყო, თვალები დაეხუჭა და ასე ფიქრობდა: რა გულუბრყვილოა ეს იალტის ღენერალი!.. მას გონია, რაც მე ველაპარაკე, ყველაფერი მართალი იყო. საცოდავი იალტაძე!. მას სრულებით არ სცოდნია, რომ პეტერბურგის „ჭ. რ. კავშირის უმთავრესი საბჭო“ თავისი თვალმაქცობით ყოველ-დღე ატყუებს ქვეყნას და აცხადებს: ამდენი და ამდენი მილიონი „კავშირის წევრები მყავსო“... რა გაეწყობა. გაიზრდება, გამოიცდება და თვითონვე მიხვდება, რომ ტყუილი და ცბიერება ჩვენთვის დღეს თვით „კავშირის“ არსებობაზე უფრო საჭიროა... ჩვენ ვიტყვით, გაზეთები დასწერენ და ქვეყანასაც ეგონება, რომ მართლა მილიონი წევრების პატრონი ვართ. ჩვენთვის ესეც კმარა...

**მერი.**

# წერილები ლონდონიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხშირათ იტყვიან, და მეც არა ერთხელ მოვიწერე,—რომ ინგლისში მოქალაქის თვითმოქმედება დაცულია ყოველგვარ **თვითნებობისაგან**, სადაც არ უნდა ჰქონდეს ამ უკანასკნელს თავისი სათავე. რასაკვირველია, მე ვამბობ **შედარებით**. ის, რაც კონტინენტზე „უფლებრივ სასელმწიფოს“ სახელით არის ცნობილი და ძალიან ხშირათ „გადაჯირგალებულიც“, აქ **ფაქტიურათ** არსებობს. და რაც თავი და თავია, ეს წყობილება უმეტესათ არც კი ემყარება კანონ—დეკრეტებზე, არამედ—დაუწერელ ადათზე და ყველაზე უფრო თვით მოქალაქეთა უფლებრივ შეგნებაზე. ასე წარმოიდგინეთ, მთავრობა და მისი მოხელენიც გამსჭვალული არიან ცოტათ თუ ბევრათ მოქალაქეთა შეხედულებით პიროვნების ხელუხლებლობაზე, და ამიტომ აქ თითქმის არც კი ვამჩნევთ მმართველთა და მართებულთა შორის იმ დაუძინებელ მტრობას, რომელიც ასე დამახასიათებელია სხვაგან. თუმცა იშვიათათ, მაგრამ მაინც წააწყდებით ხოლმე ქუჩაზე ორ წაჩხუბებულ მეკრივეს, რომელთაც იქვე მიუგდიათ ქუდი, ზედ-გადასაცმელი და სცემენ ერთმანეთს უწყალოთ. ირგვლივ ბევრია მაყურებელი, მაგრამ არავინ ფიქრობს გაშველებაზე. მოდის გოლიათი-პოლიციელი და კისრულობს ამ უმადურ როლს **ცალიერი** ხელით. მას შეიძლება ერთი და ორი მუშტიც მოხვდეს კისერში, და მაყურებელნიც შესძახებენ ერთხმათ „ისე გინდა!“ რატომ?—ჰკვირობ გუნებაში—მოვიდა კაცი და ასეთ კეთილ საქმეს სჩადის, აშველებს გააფთრებულთ, რაა აქ დასაგმობი? რატომ მისთვის არ დაეტია?“—მოგიგებს ინგლისელი, და ამით მას ის უნდა სთქვას, რომ მოქალაქე **ხელუხლებელი** არის და უნდა დარჩეს ყველგან და ყოველთვის! ეს სულ წვრილმანი რამ მხოლოდ სიტყვაზე მომივიდა, მაგრამ თავის თავათ საკმაოა იმის წარმოსადგენათ, თუ როგორ ფასობს აქ **ადამიანის პიროვნება**, როცა პოლიციელს წაჩხუბებულთა გაშველებასაც კი უთაკილებენ. პოლიტიკურ უფლებებზე მეტია ამიტომ ლაპარაკი,—ისინი დაცულია უკეთ, ვინემ სადმე.

მიუხედავათ ზემო-ნათქვამისა, მკითხველი შემცდარი იქნებოდა ეფიქრნა, თითქო მე ამ წერილში ინგლისელთა ქების გუნებაზე ვიყო. სულაც არა, და ეს უფრო იმიტომ, რომ კულტურულ პირობებში ცხოვრება და მოქმედება არც ისე სასიქადულოა აწ უკვე **მობერებულ** ევროპისათვის, სადაც ამდენ საეპოქო მოვლენათ და გენიოსებს უპოხიერებიათ საუკუნეთა განმავლობაში ნიადაგი. ინგლისი სათავეში სდგას ყველა ამაში, თანაც მისი განსაკუთრებული სვე-ბედი წარსულში აღმოუფხვრელ დაღსა აჩენს მის აწმყოს და მომავალსაც...

მე მინდოდა მხოლოდ მიმეთითებია მკითხველისათვის ინგლისის თავისუფლებათა ერთ ფრიად საინტერესო მხარეზე, ან უკეთ-მიზეზზე, როგორც მე მგონია. თუ ჩვენში იტყვიან—„როგორიც ერი, ისეთი მღვდელიო“, აქ გაცილებით უფრო საბუთიანათ შეიძლება გამოვიყენოთ ეს ანდაზა. ინგლისელნი არ იცხელებენ მაინც და მაინც თავს პოლიტიკაზე, პარტიული ფანატიზმი, უბრალო ... ბია მათთვის; არიან პროფესიული პოლიტიკოსები, რომელნიც ... ვნებაზე თუ მოევლინებიან ხალხს, უკანასკნელი კი ერთს გაიზმორებს საკენჭაოთ და შემდეგ ისევ მის ყოველ-დღიურ საქმიანობას ეძლევა. იგი უშფოთველია და უწყინარი!

რაღა სხვა მაგალითი დავასახელოთ, აიღეთ დღევანდელი მართლაც ისტორიული მომენტი და თქვენც ნათლათ წარმოგიდგებათ ყველა ეს. პარლამენტში ერთი ალიაქოთია ამტყდარი ინგლისელთა „წმინდათა წმინდის“, კონსტიტუციის საფუძვლებზე; პრემიერი ასკვიტი პირდაპირ გაუგონელის თავხედობით და ურცხვობით ლალატობს მის სიტყვას, იმ სიტყვას, მარტოოდენ რომლის მეოხებით შერჩა მის სამინისტროს პორთფელები; ლორდთა პალატა განაგრძობს მის უტიფრობას წინანდელზე უფრო რიხიანათ და ლომობს სახელმწიფოს ალვირის ხელში ჩაგდებას... და რა ხდება ამ დროს გარეთ, ხალხში, მთელს სახელმწიფოში? სრულიად არაფერი! **აბსოლიუტურათ არაფერი!** მე თქვენ გეტყვით-და ინგლისელს არა აქვს უფლება კრება-მიტინგებისა, მანიფესტაცია-დემონსტრაციებისა, პეტიცია-პროტესტებისა და ბევრი სხვისა. მაშ, რა დაემართა ამ ხალხს? რათ არ იღებს ხმას? რათ არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე?

შეგიძლიათ გაათასოთ ეს კითხვები, პასუხს მაინც ვერ მიიღებთ. ასე წარმოიდგინეთ, მეც თვითონ ისე მეჩვენება თითქო ლონდონის ექვს მილიონ სულში ჩემს მეტი არავინ იტეხს ამ კითხვებზე თავს!.. ისე ნორმალურათ ითვლება ეს ვითარება ყველგან, ე. ი. სადაც მე შემიძლია შევიჭვრიტო. ყველა ამის შემდეგ აუცილებლათ გებადება კითხვა: ან კი რატომ უნდა იყოს გათხრილი ხალხსა და მთავრობას შორის ამოუვსებელი ხრამი, თუ პირველი ასე „გონიერათ“ **სარგებლობს მის პოლიტიკურ თავისუფლებებით?!** თუ ხალხი ცხვარივით უწყინარია, მთავრობა ხომ ისეთი უტუპინა არაა, რომ ცხვრის ქურქი უკუაგდოს და მგელივით დააკრაჭუნოს კბილები! მე ზევით შევნიშნე, რომ მთავრობა დიახაც აფასებს და ვერც გაბედავს არ დააფასოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, ის იცავს კონსტიტუციას და პოლიტიკურ უფლებათ... მაგრამ, ვიმეორებ, ყველა ეს მოსდის მას არა იმდენათ მისი პრინციპიალობით და კეთილ-სინდისიერობით, რამდენათ თვით ობიექტიურ პირობების მიხედვით. და ამ პირობებში კი პირველი ალაგი უნდა დაეთმოს იმას, რაზედაც ზევით მქონდა ბაასი,—**ხალხის ინერციას ანუ უილაჯობას პოლიტიკურათ.**

რასაკვირველია, უილაჯობის თავი და თავი მიზეზი შეუგნებლობა არის. და ამ მხრივ მართლაც განსაცვიფრებელია და დიდათ დამაღონებელი აქაური ვითარება. ლონდონი მჭერმეტყველი მოწმეა ამისი. ყველას გაეგება ლონდონის როლი მსოფლიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ კონცერტში: იგი უდიდესი ცენტრია მსოფლიოში, მისი ბანკი-ბირჟა ვითა პირამიდის მწვერვალო ამაყათ გამოიყურება საქმიან მსოფლიოს ბურთზე, მისი ადგილობრივი მეურნეობა ვეება რამაა, და სხვა და სხვა. და მიუხედავათ ყველა ამისა, **ევროპის დიდ სახელმწიფოთა არც ერთ სატახტო ქალაქში არ არის ისეთი შეუგნებელი მასსა, როგორც ლონდონში!** ჩამოვთვალოთ თითებზე: ბერლინი სოციალდემოკრატიის ციხე-კოშკია და ვილჰელმი მხოლოდ „სტუმარია“ იქ; ვენაშიც იგივე პარტია იმდენათ ძლიერია, რომ ჰაბსბურგებსაც კი არხევინებს დაბლა თავს; პარიზში დღესაც მწველი-მდაგველია რევოლიუციონურ ცეცხლის ის თვალშეუწვდენელი ენა, რომელიც ჰყოფს ბურჟუაზიას პროლეტარიატისაგან; რომში მუშათა სოციალისტური მოძრაობა ფრიად თვალსაჩინო საზოგადოებრივ ფაქტორად ქცეულა; თვით პეტერბურგშიც ბრმათათვისაც კი არის დასანახავი ეს ახალი ძალა...

და ლონდონში? არაფერი ამის მსგავსი, ან-და მთლათ მიკროსკოპიული! აქ არ ისმის შრომა და კაპიტალის ველზე არც ბუკი და არც ნაღარა, კლასობრივი ბურჟუაზიული უჩინარია ცხოვრების ზედაპირზე, სოციალისტური ჰანგები მიყუჩებულია, ან თუ ისმის, სუსტათ და გაურკვევლათ,

მუშათა უბრალო დემოკრატიული ლტოლვილებაც კი მხოლოდ და დაუმუშავებელი ხმაა გაბატონებულ კლასთა დემაგოგიურ მელოდიაში. საილიუსტრაციოთ ამ თავათ ისიც კმარა, რომ ლონდონმა მის საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებში თითქმის მთლათ ჩაჰკლა მუშათა მნიშვნელობა: 59 დეპუტატიდან აირჩია მან 2 ლაბურისტი და 118 ხმოსნიდან სამი უზომიერესი სოციალისტი, მერე როგორ? ხუთივე ლიბერალ-პროგრესისტების დახმარებით! დიახ, ასეთია ლონდონი, საჭიროა კიდევ უფრო ახლო დააკვირდეთ ამ „ბაბილონის გოდოლს“.

ა. ჩ.

# უკანასკნელი ფოსტა

## საზღვარ-გარეთ

**სოციალ-დემოკრატების მიტინგი.** რუმინიის სოციალდემოკრატებმა 14 მარტს, გლეხთა რევოლიუციის სამი წლის თავზე დიდი სახალხო მიტინგი გამართეს.

**მუშების მანიფესტაციები.** ავსტრიის მუშათა პარტიამ დაადგინა გამართოს მთელი რიგი მანიფესტაციებისა იმ ახალი გადასახადების წინააღმდეგ, რომელიც მთავრობას უნდა შემოიღოს.

**1-ლ მაისის** მოახლოვების გამო საფრანგეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ პროვინციებში დაბანაკებული ჯარები პარიზში შემოიყვანონ. თუ ყაზარმებში საკმაო ადგილი არ აღმოჩნდება, ჯარებს კერძო მცხოვრებთა ბინებზე დააბანაკებენ. ამ ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია პარიზის მცხოვრებთა შორის.

## რუსეთი

**სახ. დუმის არდადეგები.** სახ. დუმის დათხოვას საზაფხულო არდადეგებისათვის მოელიან 18 მაისს. გაზეთ „უ. რ.“ გადმოცემით ეს წინადადება შეუმუშავებიათ დუმის ხელმძღვანელ წრეებში. დუმის ადრე დათხოვას იმით ასაბუთებენ, რომ საჭიროა ამ თავითვე შეუდგენ დუმის შენობის შეკეთებას, რომლის ჭერის ჩამონგრევა აუცილებლათ მოსალოდნელია.

**გაერთიანებულ აზნაურთა სიეზდზე** ერთმა „ზუბრმა“ განაცხადა: „როდესაც საქმე თვითმპყრობელობას ეხება, აზნაურობას არ შეუძლია გაჩუმდეს. მოსკოვის „მოქალაქემ“ გაბედა და საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ ის კონსტიტუციონურ - მონარქიულ პრინციპებს აღიარებს. განა შეიძლება ამისთანა სიტყვების სახ. დუმაში წარმოთქმა!? ეს სახელმწიფოს ღალატია! კონსტიტუცია უცხო, არა-რუსული სიტყვაა! რუსეთის გლეხი არც კი იხმარს მას და რუსეთში ასეთი სიტყვების ხმარება, სხვა რომ არა ვსთქვათ რა, დიდი უტაქტობაა!“

**პურიშკევიჩის დეპეშა.** გაერთიანებულ აზნაურთა სიეზდს პურიშკევიჩმა დეპეშა გაუგზავნა. სიეზდის თავმჯდომარემ, გრ. ბობრინსკიმ დეპეშის მთლათ წაკითხვაზე უარი სთქვა, რადგან მასში ბევრი „უცენზურო“ სიტყვები იყო ნახმარი, როგორც ამას საზოგადოთ ჩვეულია პურიშკევიჩი და დამსწრეთ თავის სიტყვებით გადასცა დეპეშის შინაარსი.

**გენ. დუმბაძემ** ოდესაში ყოფნის სახსოვრათ გაზეთ „ოდ. ლის.“ გადმოცემით, ადგილობრივ „ჭეშმ. რუსთა კავშირს“ შემდეგი სტრიქონები ჩაუწერა განსაკუთრებულ წიგნში: „ვინახულე ჭეშმ. რუსთა გიმნაზია და ადტაცებაში მოვედი. ბატონ როდზევიჩს, რომელსაც საუკეთესო პატრიოტთა გიცნობ სასწავლებლის საქმე საუცხოვოთ დაუყენებია მოსწავლეებს პატრიოტულ აზრებს უნერგავენ და სამხედრო დისციპლინაში და ვარჯიშობაში წვრთნიან.

დავრჩები ღრმათ დარწმუნებული, რომ ამ სასწავლებლიდან მომავალში გამოვლენ რუსეთის ღირსეული შვილები. მთავარმართებელი ქ. იალტის და მისი მაზრისა გენერალ-მაიორი დუმბაძე“.

**სტუდენტების დასჯა.** სამხედრო საექიმო აკადემიის მე-IV კურსის სტუდენტი გრაბოვსკი სამხედრო მინისტრის განკარგულებით სასწავლებლიდან დაითხოვეს. გრაბოვსკი თავმჯდომარეთ იყო იმ კრებაზე, რომელზედაც სტუდენტებმა საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანეს პურიშკევიჩის წინააღმდეგ.

— როგორც გამოირკვა, ელექტრო-ტეხნიკური ინსტიტუტის სამი სტუდენტი, რომელნიც პრეზიდიუმის წევრებათ იყვნენ სტუდენტების საერთო კრებაზე, სადაც პურიშკევიჩის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადეს, —მთავრობას იმისათვის კი არ დაუთხოვია, რომ ისინი აკრძალულ კრებაზე თავმჯდომარეობდენ, რადგანაც სამოსწავლო მთავრობისაგან ნება დართული ყოფილა, არამედ იმიტომ, რომ სტუდენტებს ნება მისცეს კრიტიკულათ შეხებოდენ უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულების მოქმედებას.

**ლიტერატორთა სიეზდი.** სახ. დუმის ჟურნალისტთა კრებამ დაადგინა მონაწილეობა არ მიიღოს მომავალ ლიტერატორთა სიეზდზე.

— ლიტერატორთა და მსწავლულთა ურთიერთ დამხმარებელ კასის წევრთა კრებამ ხმის უმრავლესობით დაადგინა მონაწილეობა მიიღოს ლიტერატორთა მომავალ სიეზდზე. დელეგატებათ აირჩიეს: ბოროდინი, არაბაჟინი და ლინევი.

# პროვინცია

**გორი.** ქალაქის თვითმართველობა საქმეების განხილვა-გადაწყვეტაში ვერავითარ თვითმოქმედება-გაბედულობას ვერ იჩენს და მისი უმრავლესობა ყურმოჭრილი ყმა არის ორი-სამი შეძლებულ გავლენიანი პირისა და რასაკვირველია ამნაირ პირთაგან შემდგარი მმართველობა ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებს. ქალაქის რომელი საქმეც გინდა ავიღოთ ყოველგან მდგომარეობა არა-სასურველია. ავიღოთ სანიტარული საქმე: ქუჩები არ იგვება და არც ირწყვება, როგორც რიგია. განსაკუთრებით ანტისანიტარულ მდგომარეობაშია „გარეთ უბანი“, სადაც ქუჩები ვიწრო, ოღრო-ჩოღრო და მეტის მეტათ უსუფთაოთ არის შენახული. განათების მხრივაც იგივე დარიბთა უბანი არის მივიწყებული. ხიდ-ბოგირები ისეთ მდგომარეობაში არის, რომ თუ კარგათ გამოცდილი არა მათზე გავლა შეუძლებელია მით უმეტეს ხსენებული ხიდები სოფლებიდან მომავალ გზებზე არიან და მგზავრები ბლომათ დადიან. არ არსებობს (და ჯერჯერობით არც არავინ ფიქრობს დაარსებას) საავათმყოფო, სადაც დარიბ მცხოვრებლებს შეეძლოთ უფასო წამლობა. ქალაქის თვითმართველობას შეეძლო დაეკმაყოფილებია მცხოვრებთა მოთხოვნილება თუ იგი უფრო ყურადღებით მოეკიდებოდა მცხოვრებთა ინტერესების სამსახურს. მით უმეტეს შეეძლო ეს გაეკეთებია, რომ ის გადასახადი, რომელსაც იგი აძლევდა ქალაქის პოლიციის შესანახათ, ახლა გორელ მიკიტნებს დააკისრეს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გორი ორას თუმანს წლიურათ აძლევს გიმნაზიას დარიბ მოსწავლეთა დასახმარებლათ, მაგრამ დარიბ მოწაფეთ ამ ფულიდან ან სულ არა ხვდებათ-რა ან სრულებით უმნიშვნელო დახმარება ეძლევათ. ახლო მომავალში მოხდება ახალ წევრთა არჩევა. სასურველია გორის დარიბი ნაწილი იმდენ მომწიფებას გამოიჩენდეს, რომ შესძლოს, როგორც უფრო შეგნებულ და თვითმოქმედ პირების არჩევას აგრეთვე მათი თავის გავლენის და კონტროლის ქვეშ დაყენებას. აქაური სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, რომელსაც თავის კაი ხნის არსებობის არა გაუკეთებია-რა, ამ ბოლო დროს გამოცოცხლება დაეტყო. თავის ბოლო კრებაზე გამგეობამ გადაწყვიტა შეიძინოს სახალხო თეატრისთვის შენობა. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისაც შეუდგა და შენობა იჯარით აიღო გორის მოქალაქე მესროფა მარუტოვისაგან. იჯარა წელიწადში 40 თუმანი უნდა აძლიოს გამგეობამ. ორმოცი თუმანი უკვე მისცა გამგეობამ. ფთ იმ თანხიდან, რომელიც გამგეობის კასაში არის შეგროვილი წევრთაგან და აგრეთვე სხვადასხვა წარმოდგენებიდან. შენობა შუაგულ ქალაქში იქნება და შესაფერისაა თეატრისათვის. შიგვე იქნება ბიბლიოთეკა-სამკითხველოც. თეატრის დეკორაცია და სხვა მოწყობილობა გამგეობამ თავის ხარჯით უნდა შეიძინოს. რადგანაც ჯერ შენობა მზათ არ არის, ამისთვის ვადა პირველ თიბათვისათვის აქვს მიცემული, როდესაც შენობა გაკეთებული უნდა ჩააბაროს პატრონმა სახ. უნივ. გამგეობას.

ამრიგათ ახლო მომავალში გორელებს ექნებათ დიდი ხნის სანატრელი თეატრი-ბიბლიოთეკა, სადაც მათ საშუალება მიეცემათ ზნეობრივ-გონებრივ განვითარებისა. როგორც ამბობენ აქაც გამოჩნდენ ისეთები, რომელთა ერთად ერთ მიზანს თავიანთი შეგნება-განვითარება შეადგენს, და ცდილობენ ამ სახალხო საქმის ჩაშლას. იმედია გამგეობა იმდენ ენერგია-გამბედაობას გამოიჩენს, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდის მიიყვანს, რითაც იგი თავის უპირველეს მოვალეობას შეასრულებს ხალხის წინაშე. საჭიროა არის დახმარება იმათი მხრითაც, ვისაც სახალხო საქმე თავის საქმეთ მიაჩნია და შეძლებაც აქვს ამისათვის. რკინის გზის სახ. თეატრში დროგამოშვებით იდგმება წარმოდგენები, მაგრამ თანამედროვე პიესების უქონლობის გამო ხშირათ დრომოჭმულებს სდგამენ. ხალხი ყოველთვის საკმაოთ ესწრება წარმოდგენებს.

საჭიროა თანამედროვე პიესები დასდგან ხოლმე.

გ—ი.

**ბათუმი.** თეატრის შენობის საკითხმა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შორის მწვავე ხასიათი მიიღო.

როგორც მოსალოდნელი იყო ამას წინეთ ბათუმის რკ. გზის რაიონში ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურეა ესენი მოწყვეტილი არიან ყოველ-გვარ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს. ჯერ კიდევ გასულ წელში მოსამსახურეების თხოვნით ადგილობრივმა უფროსებმა აძრეს შუამდგომლობა სათანადო მთავრობასთან, რათა მთავრობას დაეთმო მოსამსახურეებისათვის თავისუფალი შენობა, („პაკაუზი“) რომელიც რკინის გზას აქვს საქონლის სადგურთან და რომლითაც ის სარგებლობს წელიწადში მხოლოდ ორ-სამ თვეს. რკ. გზის უფროსს ამ შუამდგომლობის შესახებ ეთქვა: „მე თითონ ვნახავ იმ შენობას, ადგილობრივ გავიგებ მის საჭიროებას და არ საჭიროებას,—კითხვასაც მაშინ გადავჭრი“-ო. ეს სიტყვები ელვის სისწრაფით მოედო მთელს მოსამსახურეებს და მოელოდენ გზისუფროსის მოსვლას. ეს ისტორიული დღე ბათუმის რაიონის რკინის გზის მუშა მოსამსახურეებისათვის ორი მარტი გახდა. ამდღეს ჩამოვიდა მთელი ამიერ-კავკასიის რკ. გზის უფროსთა შედგენილობა. რომელზედაც იყო დამოკიდებული თეატრის შენობის დათმობის ბედ იღბალი. აქ მას უცდიდა მოსამსახურეთაგან ამორჩეული პირები. სანამ არჩეული პირები გზის უფროსს რამეს ეტყოდენ, მანამდის ადგილობრივმა უფროსებმა გაუმეორეს თავიანთი შუამდგომლობა და სთხოვეს შენობის მოსამსახურეებისათვის დათმობა; შემდეგ ამორჩეული პირებიც მივიდენ, მათ ორიოდე სიტყვა უთხრეს თეატრის შესახებ, დანარჩენის თქმა არც კი აცალა გზის უფროსმა უთხრა: „თუ კი გსურსთ მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ხოლო იანვრიდან პირველ სექტემბრამდე შეიძლება დათმობა“, ხოლო დანარჩენი დრო, როგორც გამოირკვა საჭირო ყოფილა რკ. გზისათვის. ამ სიტყვებით დაკმაყოფილდებოდენ მოსამსახურენი, რომ აქ კიდევ ერთი დაბრკოლებას არ ეჩინა თავი. ყველამ ვიცით, რომ თეატრისათვის მარტო ცარიელი შენობა არა კმარა, საჭიროა მოწყობილობა, რომლისთვის პირველი ნაწილის უფროსი შუამდგომლობდა მიეცათ მისთვის კრედიტი ხუთასი მანეთის, რომ ამით შეძლება ქონებოდა მოეწყო თეატრი; ამის შესახებ არც გზის უფროსს უთქვამს რამე და არც ამორჩეულ პირებს ისე უბრათ დაშორდენ ერთმანერთს; ეხლა მოსამსახურეები გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან: რა ქნან არ იციან; მისცემს გზის უფროსი თეატრის მოსაწყობ საჭირო თანხას, თუ საკუთარი ფულით მოაწყონ; გრძელდება კვლავ ხვეწნა-მუდარა ადგილობრივ უფროსებისადმი, მაგრამ შედეგი არა სჩანს. საჭიროა გზის უფროსი ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს და ერთ გარკვეულ გზაზე მიუთითებდეს მოსამსახურეებს.

ყ. ნ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** პარასკევს ქართულ თეატრში ქ-ნ ნ. კოლხიდელის სასარგებლოთ წარმოდგენილ იქნა კომედია „პირველი ბუზი“. კომედიის შემდეგ უნდა გამართულიყო კონცერტი და დივერტისმენტი. გამოცხადებული იყო: იმღერებს ბ. სარაჯიშვილი, წაიკითხავს ლექსებს ესა და ესო. ასე იყო გამოცხადებული, მარა ნამდვილათ კი, არც კონცერტი იყო და არც დივერტისმენტი.

გაითამაშეს რაღაც უშინაარსო და უბრალო კომედია—„პირველი ბუზი“, გამოცხადდა ანტრაქტი და კონცერტ დივერტისმენტის მომლოდინე საზოგადოებას გამოეცხადა ბ. იმხნელი და აუწყა: «ქ-ნი კოლხიდელი ბოდიშს იხდის, რომ მოულოდნელი მიზეზების გამო კონცერტი და დივერტისმენტი არ შესდგებაო“.

მოტყუებული საზოგადოება გულ-მოსული დაიშალა. ზოგი დაცინვით ამბობდა: ეს უკანასკნელი „ბუზი“ უფრო კარგათ ჩაატარესო. ზოგი კიდევ: კონცერტმა სამაგალითოდ ჩაიარაო.

ეს-და აკლდა ქართულ თეატრს! ჯერ გამოაცხადებენ და მერე ბოდიშს მოიხდიან.

№.

**ქუთაისის თეატრი.** ხანგრძლივი დროის შემდეგ ქუთაისმა კვლავ იხილა ლადო მესხიშვილი. შიშით და იჭვით მოცული მივდიოდი თეატრში. მაშინებდა და მაეჭვებდა ის ხმები, რომელნიც ასე გავრცელდენ ამ ბოლო დროს მისი ტალანტის დაქვეითების და დაშაბუნების შესახებ.—მისი ვარსკვლავი გაჰქრაო —ამბობდენ ერთნი... მან თავის გედის სიმღერა უკვე სთქვაო—იმეორებდენ მეორენი. ამ მწარე ხმებმა თითქოს ფაქტის სახე მიიღეს, როცა ჩვენ წინ გაიარა „ჰამლეტის“ პირველ ორ მოქმედებაში. ბევრის გული დანაღვლიანდა, ბევრს ოხვრა აღმოხთა მისი სიღრმიდან მაგრამ უეცრათ თითქოს ბურუსი გაიფანტა, თითქოს რაღაც უხილავი ფარდა აიხადა და ნამდვილი ლადო, ძლიერი და ნაზი, ნელი და მძვინვარე კვლავ მოგვევლინა თვალწინ. „ჰამლეტის“ მესამე მოქმედება სწორეთ იმ მომენტს მოგაგონებდათ, როცა რაღაც განუზომელი ძალა ნელის თანდათანობით დაგროვებული უეცრათ გაარღვევს ზღუდეთა კიდეს და თავისუფალ სივრცეში გადაეშვება, როცა ჰაერას მეფე ფრთებ-გაშლილი და შეკუმშული უეცრათ მოჰწყდება ადგილიდან და ხან ნელი რხევით, ხან კი შურდულისებრ მკვეთრი სისწრაფით ჰაერში იწყებს ქროლვას. ასეთი ფრთა გაშლილი იყო ლადო მესხიშვილი ბოლომდი: ჰამლეტში, ურიელ აკოსტაში, შავ ბერში.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშვალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო მიხაილ იულოს-ძე კალანდაძეს, რომელმაც არ დაიზარა შრომა და ბაქოდან გამოვუგზავნა ჩოხატაურის უფასო სამკითხველოს, თავის ნაცნობებ შორის შეგროვილი 27 მ. 10 კ. (გამოსაგზავნი ხარჯების გამოკლებით) აქვე მომყვს შემომწირველთა სია რაჟდენ სიხარულიძემ 3 მ. არტემ კალანდაძემ, რაფიელ მეგრელიშვილმა, არტემ დუმბაძემ და ილიკო ჯიბუტმა ორორი მანეთი. ვალერიან ხმალაძემ, ჩფატი ცერცვაძისამ, ათანასე მასხარაშვილმა, ალექსანდრე კალანდაძემ, გიორგი გიორგობიანმა, ალ. ბერიძემ, ამბაკო გვალავაი, ვასილ კირვალიძემ და მიხაკო—მარო კალანდაძეებმა თითო მანეთი. ვასილ გოგოძემ, გიორგი ჩიჩუამ, იოსებ გედევანოვმა, ბესარიონ ყდენტმა, ალექსანდრე ზედელაშვილმა, ისიდორე ფირცხელაიშვილმა, მოსე კოპლატაძემ, მელიტონ ფერაძემ, ერმილე თორთლაძემ, პეტრე ჭიჭინაძემ, სევასტი ხუნდაძემ, ვასო №, და ნიკო მიქაძემ, ათ-ათი შაური. კოლია ქლიბაძემ 60 კ. და ანტონ თევზაძემ 40 კ. რომელთაც ულრმეს მადლობას ვუძღვნით.

სამკითხველოს გამგე ს. **თავართქილაძე.**

ბ. ტონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებ ეს და ფულით თუ წიგნებით დახმარება აღმოუჩინეს ოზურგეთის მაზრის სოფელ ციხის ახლად-გახსნილ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს: წიგნები: რაფიელ შარაშიძემ 10 მ. 50 კ. და სამკითხველოს ბეჭედი ღირებული 2 მ. 50 კ. თეოფილე ივ. სიხარულიძემ 5 მ. 15 კ. თ. მაღლაკელიძისაგან და მღვ. ვარლამ მახარაძისაგან წიგნები ღირ. 5 მან. მარიამ სიხარულიძისაგან წიგ. 2 მ. 30 კ. ჟურნალ-„განათლების“ რედაქციისაგან №№ 2მ. 30 დომენტი თალაკვაძისაგან წიგნ. 2 მან. მღვ. ზაქარია ცინცაძისაგან წიგნ. 2 მან. იაკორ შარაშიძისაგან წიგნ. 1 მ. 80 კ. ხარიტონ გურგენიძისაგან წიგ. 1 მ. 55 კ. მიხაკო კალანდაძისაგან წიგ. 1 მ. 75 კ. მიხაკო თედორაძისაგან წიგნ. 1 მ. 5 კაპ. ლევანტი ჯაყელისაგან წიგნ. 35 კ. ფულათ: იაგორ გურგენიძემ 50 კ. ერმალო ყდენტმა 25 კ.

სამკითხველოს გამგე **სამსონ კალანდაძე**

ბატონო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბ. აპოლონ ივანესძე წულაძეს, რომელმაც კეთილ ინება და ამა წლის 1 იანვრიდან ჭანჭათის სკოლას გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი «ჯეჯილი». იმედი მაქვს რომ სხვებიც წაბაძავენ ამ მაგალითს და არ დაიშურებენ ამ სკოლისათვის რომელიმე საყმაწვილო ჟურნალს.

ჭანჭათის სკოლის მასწავლებელი **ს. ნავლიშვილი.**

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე.


# განცხადება

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

## ხირსა

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო გაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი —15-დან—30 კაპეიკამდე. (0—22)

ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით ილია ბახტაძე წაიკითხავს საჯარო ლექციას ქუთაისში, ფოთში, [illegible] სამტრედიაში, [illegible] შემდეგ [illegible]:

● „ბატონ-ყმობა და დანიელ ჭონქაძე“ და ჩვენი ახალგაზდა პოეტები: ვარლამ რუხაძე და მისი პოეზია“ ●

ლექციის წაკითხვის დრო ყოველ ქალაქში და დაბაში ცალკე აფიშებით ეცნობება საზოგადოებას. (8—ის.—4)

ქუთაისში

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

## თესლეულობის მაღაზიაში

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ. (25—9)

ვიღებ

## ყოველნაირ საკერავს

კაბებს და თეთრეულს, ამასთან ვიყვან შეგირდებს ყოველნაირ ხელოსნობისას.

მიხაილოვის ქუჩა № 23 მ. მელიტაური 0—5

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი
ვლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“
Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ винодѣловъ садовладѣльцевъ
„Kaxetia“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქნებში ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 1 | „ | — 20 к. | 16 | „ | — 3 р. |
| № 2 | „ | — 25 к. | 16 | „ | — 3 р. 60 к. |
| № 3 | | — 35 к. | 16 | „ | — 5 р 10 к. |
| № 4 | „ | — 50 к. | 16 | „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, мухранская ул. д № 81 Михаилу Николаевичу Кодалову.

კბილის ექიმი

## პ. ა. ქაჯაია

მიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდან საღამო 7 სა-მდე.

მე-2 თუმანოვის ქუჩა, № 17.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის 71 № (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)


## მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

### თფილისიდან გადის

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

### თფილისში მოდის

**ბაქოდან** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზარო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს 40. წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

### თფილისიდან გადის

**მიხეილოვში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3ს. 23 წ. დღით.

### თფილისში მოდის

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10 8 ს. 23 წ. დილით.

### ყარსის გზაზე

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

**თფილისში მოდის:** საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო საქონლის № 80/81 ერევნიდგან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან ღამით 4 ს. 48 წ.